

საკრებულოს წევრის საქმიანობის

წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:

ნატალია ზოიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა:

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -

დემოკრატიული საქართველო“, თავმჯდომარე

ფრაქციის წევრობა:

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

კომისიის (კომისიების) წევრობა:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია

2. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით):

მაჟორიტარი, 79-ე ოლქი

საანგარიშგებო პერიოდი:

2020 წელი

განხორციელებული საქმიანობები:

- საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი: **10 სხდომა**
- საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა: **88 საკითხი**
- საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:

ა) ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია: **8**

ბ) იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია: **8**

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

ა) ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია: 15 საკითხი

ბ) იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია: 84 საკითხი

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 41 შეხვედრა

7. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა: 309 მოქალაქე

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:

- პანდემიით გამოწვეული პრობლემები;
- შემოერთებული ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთზე წყლის მიწოდების საკითხები;
- უძრავი ქონების დარეგისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები;
- ეზოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხები;
- პარკირების საკითხები;
- სტადიონის მონტაჟი/დემონტაჟის საკითხები;
- სანიაღვრე ქსელთან დაკავშირებული საკითხები;
- გამწვანების საკითხები;
- „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ საკითხები;
- მშენებლობებით გამოწვეული სამეზობლო დავები;
- ინვესტორების მოზიდვის საკითხი;
- ამხანაგობების საკითხები;
- ჯანდაცვის საკითხები;
- მატერიალური დახმარების საკითხები;
- დეზისენქცია/დერატიზაციის თემები;
- მაწანწალა ცხოველებით გამოწვეული პრობლემები;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის საკითხები;

9. სხვა განხორციელებული საქმიანობები:

- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ კომისიის წევრი.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი“, ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ კომისიის წევრი.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ კომისიის წევრი.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ კომისიის წევრი.

ჩავატარე ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 12 სხდომა;

პანდემიის გამოცხადებისთანავე ფრაქციის წევრები შევთანხმდით ჩვენს ხელთ არსებული ფინანსური რესურსის შესაძლებლობის ფარგლებში დავხმარებოდით იმ მოქალაქეებს, ვინც მოგვმართავდა სხვადასხვა საჭიროებებით უშუალოდ, საკრებულოს ვებგვერდის/ფრაქციის ფეიჯის მეშვეობით.

არც ერთი მოქალაქის შეტყობინება არ დაგვიტოვებია რეაგირების გარეშე. აჭარის ტელევიზიით გასული სიუჟეტის პირველივე ადრესატის დახმარებაზე საკრებულოს წევრმა ბესო გოგოტიშვილმა იზრუნა საკუთარი სახსრებით. ნერიმან ცინცაძემ და მე ბათუმის მკვიდრი, საწოლს მიჯაჭვულ ასაკოვანი ადამიანები მოვინახულეთ, როგორც კი ინფორმაცია მათთვის სამედიცინო დახმარებისა და მედიკამენტების საჭიროების შესახებ მოქალაქეებმა მოგვაწოდეს. ნერიმან ცინცაძემ სამედიცინო კონსულტაციასთან ერთად შესაბამისი მედიკამენტებიც შეიძინა, მე კი - სასურსათო პროდუქტები გადავვიცი.

უმრავლესობის წევრებს ერთერთი პირველი სს "ვაჭრობტრანსი" დაუდგა გვერდით მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით. ძველი ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ზურაბ ნაკაიძემ, კომპანია Dis.ge-სა და „კაფე ბათუმის“ მხარდაჭერით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს სასურსათო ნობათი კომპანიების თანამშრომლებთან ერთად გადასცა.

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ირაკლი პატარიძის ორგანიზებით, საკუთარი სახსრებითა და მეგობრების დახმარებით უზრუნველყო 68 ოჯახის სურსათით მომარაგება. აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ ის ოჯახები, რომლებიც მუნიციპალიტეტის დახმარების პროგრამებს მიღმა აღმოჩნდნენ და პანდემიის შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გარკვეული პრობლემები

შექმნათ. აღნიშნულმა ოჯახებმა დახმარების თხოვნით თავიანთი უბნის მაჟორიტარ დეპუტატს პირადად მიმართეს.

ადღია-აეროპორტისა და გონიო-კვარიათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბათუმის საკრებულოში მიხეილ ართმელაძემ სამაჟორიტარო უბანში მცხოვრებ ოჯახებს სასურსათო პროდუქტები საკუთარი სახსრებით შეუძინა.

საკრებულოს თავმჯდომარეს მოადგილე თამაზ სალუქვაძე „ჯეოფერის“ , ჯგუფ „ოფროუდის“, „ბათფარმას“, ინდ.მეწარმე „ზაზა ბერიძის“ ჩართულობით სამაჟორიტარო უბნის შეჭირვებულ მოსახლეობასთან მივიდა, სასურსათო ნობათი გადასცა და სათითაოდ თითოეულ ოჯახის წევრს გაესაუბრა მათ საჭიროებებზე.

საერთო ჯამში, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დაეხმარა საკუთარი სახსრებით 550 ოჯახს. აქედან იყო შემთხვევები, როდესაც ითხოვდნენ არა მხოლოდ სურსათს, ბავშვის საკვებს და ჰიგიენურ საშუალებებს.

ვინაიდან ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ქალაქ ბათუმის მერიამ შეზღუდა იმ ტიპის სერვისების მიწოდება, რომელიც ხალხმრავლობასთან იყო დაკავშირებული, ფრაქციის წევრები ჩავერთეთ.

ასევე აქტიურად ჩავერთეთ მოხალისეობრივი წესით ბათუმის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისთვის პროდუქტების დარიგების პროცესში.

ასევე უმრავლესობის წევრები მივუერთდით პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სოლიდარობის აქციას და სამი თვის განმავლობაში ხელფასების მესამედი კორონავირუსთან ბრძოლის ფონდში გადავრიცხეთ.

ჩავატარე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 4 სხდომა, აქედან 2 ონლაინ;

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებიც ჩავერთეთ შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების საქმეში. ჩვენი სახსრებით დავეხმარეთ მარტოხელა დედებს, რომელთაც სტატუსი არ ჰქონდათ და რეალურად მარტონი იყვნენ, სასურსათო კალათითა თუ ბავშვების საკვებით ან ჰიგიენური საშუალებებით.

საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა მხარი დაუჭირა ჩემს ინიციატივას და დააფინანსა ონლაინმარკეტინგისა და digital communication მიმართულებით ტრენინგი მეწარმე ქალებისთვის, ვინც თვითდასაქმებულია, აწარმოებს პროდუქციას ან დაკავებულია ხელნაკეთი ნივთების დამზადებით და არ აქვთ ონლაინ გაყიდვების უნარი. ტრენინგი ჩატარდა ონლაინ.

მივიღე მონაწილეობა:

- ✓ KSAP-ისა და ZSPA-ს ერთობლივ სატრენინგო პროგრამას „საჯარო პოლიტიკების საუკეთესო პრაქტიკების კურსი“ (პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით);
- ✓ საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფთა ასოციაციის (MSPA) მიერ ორგანიზებულ ლიდერთა სკოლის სასერტიფიკატო პროგრამის ტრენინგში (ონლაინ);
- ✓ PLATFORMA-ს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის სემინარში თემაზე: „გენდერული თანასწორობის დიალოგის გაძლიერება და ადგილობრივი თვითმართველობის რეფორმა საქართველოში-მიღწევები, გამოწვევები და შესაძლებლობები“
- ✓ სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ორგანიზებულ ონლაინ სემინარში: „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, საქართველო-ნატოს თანამშრომლობის მექანიზმები, პერსპექტივები და გამოწვევები“.
- ✓ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის „ქალთა ლიდერობის აკადემიის“ მრავალპარტიულ ტრენინგში.
- ✓ სოლიდარობის ცენტრის გენდერული ფორუმის ტრენინგში: „გენდერული თანასწორობა შრომით ურთიერთობებში“.
- ✓ სხვადასხვა ეროვნულ, კულტურულ, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვით თუ სპორტულ ღონისძიებებში, რეგულაციების დაცვით;
- ✓ საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე ვთანამშრომლობდი მასმედიის წარმომადგენლებთან.

შედეგი, ეფექტი:

მსოფლიო გამოწვევის - პანდემიის - პირობებში, მოქალაქეების ჯანმრთელობის, სიცოცხლის გადარჩენა; ქალაქის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

